სახალხო გაზეთი

№ 525 ოთხშაბათი, 15 თებერვალი 1912 წ. № 525

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ტელეფ. № 795. ## ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

დიდ-მარხვის სეზონი

ხუთშაბათს, 16 თებერვალს,
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ლეონ ტოლსტოის ცნობილი პიესა:

ცოცხალი მკვდარი, დრამა 6 მოქ. და 12 სურათად, თარგმ. გ. ახალციხელისა.

ახალი დეკორაციები, ✦ ბოშათა მომღერალი გუნდი.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძე, ქილარჯიშვილი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, იმედაშვილი, იმხნელი, ივანიძე, გუნია, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. საღ. 8 ს.** რეჟისორი **ვას. აბაშიძე.** ადმინისტ. **ვ. გუნია.**

ანონსი: მზადდება კვირისათვის ი. გედევანიშვილის პატივსაცემლად მისივე პიესა **„მსხვერპლი“**, ტაიფუნი, ჰენრიხ ნავარიელი, ვიდრე ხვალ უფალო, და სხვ. (3—1101—2)

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახ. სახლი.

პარასკევს, 17 თებერვალს, 1912 წ.

ბენეფისი რეჟისორის ალ. წუწუნავასი.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ-ნნი **ე. ჩერქეზიშვილის, ნ. დავითაშვილის,** ბ-ნნი **ალექსი-მესხიშვილის** და ქუთათურ მსახიობის **ვას. არაბიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ახალი **ორიგინალური პიესა.**

მორევში
დრამა 3 მოქ. ს. ჭანტურიშვილისა.
ამ პიესისთვის დახატულია ახალი დეკორაციები.

2. ცნობილი პიესა კ. ფოცხვერაშვილისა
აშენდა საქართველო
სცენები ქართ. სტ. ცხოვრებიდან 2 მოქ. ამ პიესის დადგმის უფლება ავტორისაგან აქვს მხოლოდ ალ. წუწუნავას.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი მ. გოგოლაშვილი, ნ. დავითაშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ვას. არაბიძე, ბაქრაძე, გოცირიძე, მეტრეველი, ნინიძე, სანდალა, სვანელი, სალაყაია, ხონელი, ფრონის-პირელი, ყაზბეგი, მ. ქიაურელი, ჭანკვეტაძე, ჩიქოვანი და სხვა. ადგილების ფასი 1 მ. 20 კაპ.—15 კაპეიკამდე **დასაწყისი სად. 8 საათზე.**
ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** (5—1006—2) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ნაძალადევის თეატრი

შაბათს, 18 თებერვალს,

ბენეფისი რეჟისორის ს. პ. სვიმონიძისა.

ე. ჩიქოვანის, ვლად. ს. მესხიშვილის. კ. დ. ყიფიანისა და **ნ. ს. გოცირიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ყაჩაღები, ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა.

მონაწილეობას მიიღებენ მთელი ნაძალადევის სცენის მოყვარენი. ადგილების ფასი 15 კ. ვიდრე 60 კაპ.
(5—1100—2) **დასაწყ. 7½ ს.** რეჟისორი **ს. სვიმონიძე.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ქალთა ავ. (ქირურგ. გინეკ.)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა). 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—268)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკული**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—89)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

გრდემლი

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.6)

მოსკოვში დავასრულე ჭრა-კერვის საქალებო კურსი და ტფილისში გავხსენ

ჭრა-კერვის სკოლა

(მე-10 საპოლიციო უბანი, **1** მალაკნის ქუჩა, № 15.)

ვიღებ ყოველგვარ შეკვეთას, ფრანგულ მოდისასაც. ვიყვან შეგირდებს, ვასწავლი მოკლე ხანში მცირე ფასად.
(1—1105—1) პატივისცემით **ს. ს. თინაშვილი.**

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრედვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:— „კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.21)

განცხადება

მიხეილის საადგილ-მამულო საზნაურო ბანკის გამგეობა ქუთაისში

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ფინანსთა მინისტრმა ნება დართო ხსენებულ ბანკს გასცეს გძელ-ვადიანი სესხი ქობულეთის, მანგლისის, ცხინვალის, მიხაილოვის, სურამის, ჭიათურის, ონის, და რედუტ-კალეს უძრავ მამულებზე იმავე წესით, რა წესითაც საზოგადოდ ქალაქების მამულებზე იცემა სესხი.

(3—1097—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობამ

დანიშნა **ბარგის მზიდველ მეეტლეთა**

მამასახლისისა და მის კანდიდატის არჩევნები

19 თებერვლისათვის, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე და სთხოვს ბარგის საზიდ ეტლების პატრონთ მობრძანდნენ აღნიშნულ დროს ქალაქის გამგეობაში ბლიახებით, ცხენებზე შეწერილ ბაჟის გადახდის დამადასტურებელ ბარათებით და სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით. (1—1104—1)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 234)

ექიმი დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე**

ტყემალაძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—2)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 74).

მხოლოდ 4 დღეს

უდიდესი იაფი ვაჭრობა

15, 16, 17, და 18 თებერვალს

პ. ს. დოროშოვის

მაღაზიებში:

ა) **უმთავრესი,** სოლოლაკის ქ., სახლი გურგენოვისა, **ტელეფ. № 583.**

ბ) **იაროსლავის მაღაზია,** მიხეილის ქუჩ., ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, **ტელეფონი № 838.**

1912 წ. 1 იანვრისათვის მოვახდინეთ მაღაზიის ანგარიში და ბევრს საქონელზე წინანდელ ღირებულების მიხედვით 80% დავაკელით, რაიც პატივცემულ მსყიდველთ შეძლებას მისცემს უთვალავი მოდური ნივთები შეიძინონ ქალთა მორთულობისა, საგაზაფხულო, საზაფხულო საუცხოვო ქსოვილებისა და აგრედვე მზა მზარეული ტანისამოსი.

მატყლეულის განყოფილებაში

აურებელი დარჩენილი ნაჭრები სატანისამოსო, საკოპოტე, საკაბე, საქვედატანო, საკოფთე, სამატინე და სხვა. ყველა ამაზე დადებულია გასაოცარი დაბალი ფასები.

მაუდეულის განყოფილებაში

დიდძალი კუპონები კაცთა ტანისამოსისათვის, საპალტოე, საშალვრე, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნების საქონლის ნაჭრები.

დიდძალი დარჩენილი საქონელი ყოველგვარ მაუდეულის ქსოვილებსა, რომელზედაც 1912 წ. 1 იანვრის ანგარიშის დროს წინანდელ ღირებულობის თითქმის 60% დავაკელით.

ფერად ბამბეულის ქსოვილთა განყოფილებაში

20,000 დარჩენილი ნაჭერი და კუპონები ყოველნაირ ქსოვილებისა საგაზაფხულო და საზაფხულო, რომლებზედაც 1912 წ. 1 იანვრის ანგარიშის დროს წინანდელ ღირებულების მიხედვით თითქმის 40% დაუკელით.

ტილოს განყოფილებაში

დიდძალი დარჩენილი საქონელი კაცებისა, ქალებისა და ბავშვების თეთრეულისათვის, 1000 ზეწარი, საზაფხულო სახიანი საბნები და აგრედვე თეთრი. წინანდელ ღირებულებიდან 30% დაკლებით.

სასუფრე თეთრეულის განყოფილებაში

დიდის შიგ რჩევით სახიანი საჩაიე სუფრები და მოწყობილება 40% დაკლებით. აურებელი სასუფრე საჩაიე სალფეტკები და ტილოები, პირსახოცები და დასტამლებია გადადებული უდიდეს იაფ ვაჭრობისათვის, გასაოცარ იაფფასად.

მზა ტანისამოსის განყოფილებაში

ხალათებზე წინანდელ ღირებულობის 80% დავაკელით.

ქოლგები

წარსულ სეზონებისა, 75% დაკლებით. აურაცხელი თეთრეული კაცებისა და ქალებისა, საზღაპრო იაფად.

ტრიკოს განყოფილებაში

ქალების ჩულქები, კაცებისა და ბავშვების წინდები ყოველგვარ ხარისხისა და ფერისა, ფუფაიკები, შემდეგები, აბრეშუმისა და ფილდეკოსისა, გასაოცარ იაფფასად. გალსტუხები თითო შაურიდან გულისპირები კაცებისა და ქალებისათვის ორ შაურიდან.

საავეჯო საქონლის განყოფილებაში

პორტერები აბრეშუმისა და პლიუშისა, ფარდები, შვეიცარიის ტულისა, საავეჯო საქონელს 1912 წ. 1 იანვრის ანგარიშის დროს დავაკელით წინანდელ ღირებულობის 50%.

უზარმაზარ ფანჯრებში ყველა განყოფილებიდან გამოფენილია ნიმუშები, გასაოცარ იაფფასების აღნიშვნით.

უდიდეს ვაჭრობის დღეებში ვაჭრობა იწარმოებს დილის 9½—2½ საათამდე და საღამოს 4—6½ საათამდე.

(1—1106—1) პ. დოროშოვი.

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.87)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი **№ 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. მოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“.

(წლ. 1090 271)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 104)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და სად. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—97).

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—24)

ექიმი **პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.44).

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№ 12** ს. (9—43).

ქართული პრესა

ამ რამდენისამე ხნის წინად ჩვენს გაზეთში აღვნიშნეთ ქუთათურ გაზეთ „ცხოვრების" ერთი ფრიად ღირსშესანიშნავი სოციალოგიური წერილი ეროვნულ ბურჟუაზიის მნიშვნელობის შესახებ. აღვნიშნეთ გაკვრით, რადგანაც სერიოზული კამათი იმათთან, ვისაც თავისი მოძღვრების ელემენტარული საფუძვლებიც კი დავიწყებია, ძალიან ძნელია. ამავე საგანს ეხება ცოტა ვრცლად გაზ. „კოლხიდა"-ში ბ-ნი შოლტი.

> ,,ავტორი ბრძანებს,—სწერს ბ-ნი შოლტი:—ეროვნულ წარმატების საქმეს დემოკრატია უნდა გაუძღვეს და არა ბურჟუაზიაო. ბურჟუაზია იცავს დღევანდელ წეს-წყობილებას და ვერავითარ ისტორიულ მისიას ველარ შესძლებსო და სხვა.

ამის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, თუ რა არის ბურჟუაზია, მოჰყავს შეხედულება მარქსისა, ენგელსისა და კაუცკისა და დაასკვნის, რომ, ამ მწერალთა აზრით, დაქირავებულ მუშებს გარდა, ყველა სხვა დანარჩენი კლასი კონსერვატორია, ე. ი. ახლანდელ ურთიერთობის დამცველია, და იმ გლეხსაც უნდობლობას უცხადებს, რომელსაც პაწაწა ნაჭერი მიწა და ქოხი კიდევ შერჩენია.

> ,,ცხოვრების" ავტორი კი გვეუბნება,-განაგრძობს ბ-ნი შოლტი:—დემოკრატია არის დაბალი კლასიაო. მაგრამ ეს დაბალი კლასები რაღა არის?... დროა იცოდნენ ,,ცხოვრების" მწერლებმაც, რომ დემოკრატია იგივე წვრილი ბურჟუაზია არის... საფრანგეთში, შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საზოგადოდ ამერიკაში და ინგლისის ახალშენებში დემოკრატული პოლიტიკური წესწყობილება სუფევს და იმავე დროს ბურჟუაზიულიც. მაშ, სჩანს დემოკრატია და ბურჟუაზია ერთი-მეორეს არ უარჰყოფს,

კი არ უარჰყოფს, დაუმატებთ ჩვენის მხრით, დემოკრატია ბურჟუაზიის ღვიძლი შვილია. ბურჟუაზიის წიაღში განვითარდა დემოკრატია და იქვე შემუშავდა ინდივიდუალისტური ნორმები პოლიტიკურ თავისუფლებისა. ინდივიდუალური თავისუფლება და თანასწორობა კანონის წინაშე ნაყოფია ბურჟუაზიული ცხოვრების განვითარებისა. დემოკრატიული აზროვნება სწორედ იმით განსხვავდება დემოკრატიულ-სოციალისტურ აზროვნებისაგან, რომ ეს უკანასკნელი თავისუფლებას პროლეტარიატისაკენ ჰხრის და ჰსურს სახელმწიფოებრივი მექანიზმი მშრომელ ხალხის კლასიურ ემანსიპაციის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამ რიგად, დემოკრატიულ-სოციალისტური აზროვნება წმინდა დემოკრატიულ აზროვნებას ვერ ეგუება. მაგრამ ეს კიდევ იმას არ გვეუბნება, თითქოს დემოკრატიული მოძრაობა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდეს.

> ,,ახალს, განუვითარებელ ქვეყნებში,—სწერს სრულიად სამართლიანად ბ-ნი შოლტი,—ჯერ პირველი საფეხური არ გაუვლიათ. აქ ჯერ პროლეტარიატის რიცხვი, წვრილ ბურჟუაზიასთან შედარებით, ძლიერ მცირეა და პროლეტარიატს არ შეუძლიან საკუთარი ძალით მიზანს მიაღწიოს. აქ მოძრაობა უმთავრესად დემოკრატიულია და არა პროლეტარული, თუნდ თვით პროლეტარიატიც რომ უდგეს მოძრაობას სათავეში, აქ მხოლოდ ხალხურს, დემოკრატულს მოძრაობას შეუძლიან გამოიღოს ნაყოფი".

ამის დასამტკიცებლად ბ-ნ შოლტს მოჰყავს მაგალითად ოსმალეთი, სპარსეთი და ჩინეთი. იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბურჟუაზიას ეროვნულ კულტურისა და განათლებისთვის, ბ-ნი შოლტი სწერს.

> წვრილ ბურჟუაზიასა და მსხვილ ბურჟუაზიას შორის მჭიდრო კავშირი სუფევს, ერთი მეორეს ასაზრდოებს. მსხვილი ბურჟუაზია წვრილს აძლიერებს. მაშასადამე, წვრილი ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერებასა და განვითარებისთვის მსხვილი ეროვნული ბურჟუაზიის არსებობაც საჭიროა. ამის გარდა, მსხვილი ბურჟუაზია ქონებრივი დახმარებით ხელს უწყობს ეროვნული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისა და სწავლა-განათლების გავრცელებას,
>
> ამბობს ბ-ნი შოლტი

⁂

კოოპერატიული ჟურნალი „კოოპერაცია" თავის უკანასკნელ ნომერში სწერს:

> ,,ყველა აღმოჩენილ საშუალებათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს შეერთებულის ძალით მოქმედებას. ორი აზრი არც კი არსებობს იმის შესახებ, რომ სახალხო საზოგადო—ეკონომიურ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთ დახმარებას ანუ შეერთებულის ძალით მოქმედებას.. მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი ძლიერ დამფრთხალია და ყველაფერს უნდობლობის თვალით უყურებს. ამბობენ: „კარგია შეერთების იდეა, შეერთებულის ძალით მოქმედება, არა ერთხელ გვსმენია, რომ ,,ძალა ერთობაშია",—მაგრამ.., როგორ უნდა განვახორციელოთ ეს იდეა და დავაყენოთ საქმე ისე, რომ არ განმეორდეს ,,ძველი ამხანაგობების" ისტორიაო",

ავტორს სიტყვიერ პროპაგანდასთან ერთად საჭიროდ მიაჩნია საქმით პროპაგანდა და რჩევას იძლევა, მომხმარებელ საზოგადოებებიდან დაიწყოს საქმე. ავტორს ეს ფორმა კოოპერაციისა უფრო მარტივად და ადვილად განსახორციელებლად მიაჩნია.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინ ჩვენს მკითხველებს გავაცანით „გოლოს კავკაზა"-ს წერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ამავე წერილის გამო „ზაკავკაზიე" სწერს:

> ,, მაშ ასე—ეპ. კირიონი საეკლესიო კანონების წინააღმდეგია? იმასთან ერთად ინოროდცების ყველა მჯღაბნელები, რომელნიც ავტოკეფალიას მოითხოვენ, მკრეხელნი არიან... მაშ, რას იტყვით, მაგალითად, ჟურნალ ,,რუსკი სტიაგზე", თავის ლოზუნგით—სარწმუნოება, მეფე და სამშობლო! ურიების ჟურნალია? ან როგორ მოგწონთ ისეთი მხცოვანი პუბლიცისტები, როგორიც არიან, მაგალითად, ნ. ნ. დურნოვო, ნ. პ. გოლიაროვ-პლატონოვი, კ. ნ. ლეონტიევი, ი. ს. აქსაკოვი, ა. ა. კირეევი? ესენი ხომ უერთგულესი დამცველები არიან მართლმადიდებელ ეკლესიისა, მაგრამ ამასთანავე ერთად ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის აზრსაც იცავენ? როგორ გგონიათ, ყველა ესენი ებრაელები არიან?..
>
> რა საჭიროა სამსჯავრო? ერთს მშვენიერ დღეს იქნება „გოლოს კავკაზა"-ს „პუბლიცისტები" იქამდის მივიდნენ, რომ თავიანთ თავიც „ინორადცებად" გამოაცხადონ! ვიღა დარჩა, რომ მათ სახელმწიფოს მოღალატედ არ დასახეს! ღირს კი ამისთანა ავადმყოფ ხალხთან კამათი?.

⁂

ოფიციოზი „როსია" ქალთა მემკვიდრეობის უფლებებში მამაკაცებთან გათანასწორების კანონ-პროექტის მოსარჩლედ გამოდის და, სხვათა შორის, სწერს:

> მემკვიდრეობითი მამულის დანაწილება უეჭველია ცუდ შედეგს იწვევს, მაგრამ ნუთუ ასეთი შედეგის წინააღმდეგ ისეთი უსამართლოების დაცვით უნდა ვიბრძოლოთ, როგორიც ისეთი მდგომარეობაა. როდესაც ქალი უფრო მცირე ნაწილს იღებს, ვიდრე ვაჟიო.

როგორც ვიცით, საბჭომ დებს ძმების ნაწილის მხოლოდ ერთი მეშვიდედი აკუთვნა. ამ მხრივ, როგორც ხედავთ, საბჭო ბიუროკრატიაზე უფრო რეაქციონური გამოდგა.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშები).

ჯერ როძიანკო თავმჯდომარეობდა შემდეგ—თ-დი ვოლკონსკი. გადასწყვიტეს სხდომა გამართონ ხოლმე, ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით, საღამოს სხდომა იქნება მხოლოდ ოთხშაბათობით.

განაგრძობენ ხოლმშჩინის გამოყოფის პროექტის მუხლობრივ განხილვას. მეათე განყოფილება შეეხება ხოლმშჩინის გამოყოფას და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებას.

შეჩკოვი. ხოლმშჩინას გამოყოფთ, მაგრამ იქ ყველაფერი ძველებურად იქნება და კანონ-პროექტის განხორციელება პრაქტიკულს სარგებლობას ვერ მოიტანსო, კომისიის კანონ-პროექტი კეთილ სურვილებს გარდა არას წარმოადგენს თუ სათათბირო მთავრობის ტექსტს დაუბრუნდება, მაშინ მიეცემა პროექტსა რაიმე რეალური შინაარსიო.

გრაბსკი. წინააღმდეგია მეათე განყოფილებისა. იგი მეთერთმეტე განყოფილების წინააღმდეგიც არის, რადგან მეთერთმეტე განყოფილების ძალით ხოლმშჩინაში ისეთივე დებულებანი იმოქმედებს, რანაირიც პოლონეთში, ეს კი მთლად ეწინააღმდეგება რუსეთის სახელმწიფოებრივობის განვითარებასაო. სიტყვა გამოყოფა, უშინაარსოა და მავნებელი, რადგან ამით მხოლოდ პოლონიზმთან შებრძოლება სწადიანთო.

ფალკერზამი წინააღმდეგია ხოლმშჩინის გამოყოფისა. წინააღმდეგია იგი აგრეთვე შეჩკოვის შესწორებისა, რომელიც მოითხოვს „პოლონეთის სამეფოს" სახელწოდების მოსპობას. ეს პოლონელებსა და რუსებს ერთმანეთს გადაჰკიდებს, ვინაიდან ეს სახელი პოლონელთათვის ძვირფასიაო.

დიმშა. მთავრობა 117 წელიწადს იცავდა პოლონეთის სამეფოს საზღვრებს; ეს კანონ-პროექტი კი რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულების წინააღმდეგია და ადგილობრივ მცხოვრებთათვის ძლიერ მავნებელიო.

ეპისკოპოსი ევლოღი. ხოლმსის გუბერნიის გამოყოფა შინაარსია კანონ-პროექტისაო. თუმცა პოლონეთის სამეფო არ არსებობს, როგორც რეალური ერთეული, მაგრამ პოლონელებს არ დავიწყებიათ იგი და რუსები კი იჩაგრებიან ამის გამო, ხოლმშჩინის გამოყოფა აუცილებელია.

პარჩევსკი შეეხო რუს-პოლონელთა ურთი-ერთობას და სთქვა, ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობა გამარუსებელ პოლიტიკის მომხრეა. მაგრამ პოლონეთის სამეფოს ტერიტორიისათვის ხელი არ უხლიათ მურავიოვის სისტემის დროსაც კი. ხოლმშჩინის გამოყოფა შეურაცყოფას მიაყენებს მთელს პოლონეთს თუმცა იგი ხოლმშჩინას ვარშავიდან ვერ გამოაცალკევებს.

ტიმოშკინი. ძირითად კანონების პირველი მუხლი პირდაპირ ამბობს, რუსეთის სახელმწიფო ვერც განიყოფების და ვერც გამოიყოფის რამეო. ამიტომ გამოყოფის თაობაზე ლაპარაკი მეტია, საკითხი ეხება მხოლოდ ამა თუ იმ ადგილების საადმინისტრაციო ერთეულად საუკეთესოდ მოწყობას.

როდიჩევი. ერთა კავშირი მხოლოდ მაშინ არის მტკიცე, როდესაც საფუძვლად თავისუფლება უდევს. მხოლოდ თავისუფლებით თუ დავაკავშირებთ არა-რუსებსა და რუსეთის სახელმწიფოს. არ შეიძლება რუსეთის უნიტარიზმის სახელით უკრაინელთა ენისა, კულტურის დევნა და უფლებათა შეკვეცა. ერთხელ მაინც გვიჩვენეთ, რომ 17 ოქტომბრის დროშას რაიმე ძალა აქვს. თქვენი ამომრჩეველნი ბევრს ცოდვას მოგიტევებენ, თუ ეხლა მაინც აიღებთ ხელს ერთა შორის მძულვარებისა და შუღლის თესვაზე (მემარცხენეთა ტაში).

უვაროვი, ბობიანსკი, ჟუკოვი, გარუსევიჩი, ქსენძი მაციევიჩი და სინადინო წინააღმდეგნი არიან ხოლმშჩინის გამოყოფისა. გამოყოფის მომხრენი არიან **იანუშკევიჩი და ტიჩინინი.**

ტიჩინინი. გამოყოფით ხოლმსის მცხოვრებ რუსებისთვის თავისუფლების დრო დადგება. იგი განთავისუფლდება საზიზღარ ტრიუმვირატისაგან კათოლიკე ქსენძისა, პოლონელთა ბებატონისა და ურიებისაგან (მემარჯვენეთა ტაში).

მეათე განყოფილების თაობაზე მსჯელობა გადასდეს შემდეგ ოთხშაბათისთვის.

მიიღეს ორი პატარა კანონ-პროექტი.

ფონ-ანრეპმა წაიკითხა მოხსენება კიევისა და მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტთა შესახებ დებულებათა დამტკიცების თაობაზე.

ბერეზოვსკი წინააღმდეგია პროექტისა. უპირატესობანი რომ მივანიჭოთ საკომერციო კერძო ინსტიტუტებს, სულ მთლად ებრაელებით გაივსება და იქ შესვლის მიზნად მარტოოდენ დიპლომი გადაიქცევაო წინააღმდეგია აგრეთვე მარკოვ მეორე.

მარკოვ მე—მა, რომელიც სწუხს სათათბირო მავნებელ პროექტების თაობაზე მსჯელობაში ჰლევს უკანასკნელ დღეებსაო.

სოზონოვიჩი რუსეთს ისეთი უმაღლესი სასწავლებელი სჭირია, რომელსაც უპირატესობანი არ ექნება; ამიტომ იგი წინააღმდეგია კანონ-პროექტისა.

მომხსენებელი ფონ-ანრეპი სოზონოვიჩს ეთანხმება, მაგრამ უსამართლოდ მიაჩნია მარტოოდენ კერძო სასწავლებელთათვის უპირატესობა ჩამორთმევა. რაც შეეხება ებრაელობას, თუმცა პრინციპით წინააღმდეგი ვარ ერების შეზღუდვისა, მაგრამ ერთს რასმე ვიტყვი: მოსკოვისა და კიევის ინსტიტუტში თუ უპირატესობანი მიენიჭა, დამყარდება ებრაელთათვის ნორმა, რაც მათთვის ბევრად საზარალოაო.

160 ხმით 39 წინააღმდეგ გადასწყვიტეს, პროექტი მუხლობრივ განიხილონ.

საღამოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯერ **როძიანკო** შემდეგ **თ-დი ვოლკონსკი,** მიიღეს ოქტომბრისტების წინადადება, რათა ვოლინის გუბერნიაში არა-რუსთა დასახლების კანონპროექტი მეორედ განსახილველად კომისიას გადაეცეს. გადაცემის წინააღმდეგნი იყვნენ **ანდრეიჩუკი და პახალჩიკი.**

განაგრძეს კიევისა და მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტთა შესახებ კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა. კამათი გამოიწვია მხოლოდ ოცდამეორე მუხლმა. მუხლი ეხება ინსტიტუტში შემსვლელთ.

ლუჩიცკიმ შემდეგი შესწორება შეიტანა: ინსტიტუტში შესვლის ნება აქვს გიმნაზია დასრულებულს რეალურ, საკომერციო, სამხატვრო, სატეხნიკო და სამეურნეო სასწავლებელში კურს დამთავრებულ და იმათაც ვისაც გათავებია სასულიერო სასწავლებლის არა ნაკლებ ოთხის კლასისა.

ტიმოშკინი იცავს მემარჯვენეთა წინადადებას და მოითხოვს ინსტიტუტებში ებრაელებისთვის 4 პროცენტიან ნორმის დაწესებას.

გეგეჭკორი. მუხლი განსაზღვრავს ინსტიტუტში შესვლისათვის საჭირო განათლების ცენზს. ებრაელობას განათლების ცენზთან კავშირი არა აქვს რა და ამიტომ მემარჯვენეთა შესწორება უარსაყოფია.

ფონ-ანრეპი. წინააღმდეგია მემარჯვენეთა შესწორებისა. კანონპროექტი სასწრაფოდ განსახილველად აღიარეს და მიიღეს.

გორდიევსკიმ გამოსთქვა სურვილი, ვაჭრობის სამინისტრომ შეიმუშაოს წესები უფლების შესაძენად იმ პირთათვის, ვისაც უმაღლესი საკომერციო განათლება მიუღიათ და სემესტრებიც ჩაეთვალათო. გორდიევსკის ფორმულა მიიღეს.

კოვზანმა. მოხსენება წაიკითხა მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის გადადებულ ფულის ხარჯვის თაობაზე.

დაზარალებულთა დახმარების საქმის გამგე. 26 ნოემბერს 20 გუბერნია იყო დამშეული, ეხლა უნდა მიემატოს: ვორონეჟისა, ენისეისა და ირკუტსკის გუბერნიები, ბაიკალისა, კასპიის გაღმა მხარე და თერგის ოლქი. წინანდელ ოც გუბერნიაში 15 დამატებით ფულსა თხოულობს, მთავრობამ სათათბიროს 118,497,271 მანეთის გადადება სთხოვა. ეს ფული არა კმარა, საჭიროა კიდევ ფულის გადადება. საზოგადო სამუშაოებმა დიდი სარგებლობა მოიტანა: პირველ თებერვლამდე 16 მილიონი აიღო ხალხმა. მოლაპარაკე სათათბიროს სთხოვს ფულის გადადებას.

გრაფი ტოლსტოი. დამშეულთა დახმარების საქმე უფრო კარგად წავიდოდა, მთავრობას ერობათა ცნობებისთვის ყური რომ დაეგდო. ბოლოს უფის გუბერნიის გაჭირებას აღნიშნავს და იმედს გამოსთქვამს, რომ სამინისტრო დაეხმარება უფის გუბერნიელებსაო (მემარცხენეთა ტაში).

მერზლიაკოვი და კროპოტოვი მთავრობას უსაყვედურებენ, ვიატსკის გუბერნიელებს ჯეროვნად არ დაეხმარაო.

კუზნეცოვი. რუსის ხალხის შიმშილი მთავრობის გარდა მდიდართა ბრალიცაა; გლეხობასა და დემოკრატიას ეს ღა დარჩენია, ან შიმშილით მოკვდეს, ან თავის უფლებათათვის იბრძოლოს.

დაზარალებულთა დახმარების საქმის გამგემ წაიკითხა აკმოლინის გუბერნატორის დეპეშა პეტრეპავლეს მაზრაში საზოგადო სამუშაოზე ქარბუქის დროს მომხდარ უბედურების თაობაზე. დაღუპულა 54 კაცი. სსზოგადოდ მაზრაში 190 კაცი დაიღუპა თურმე. მიღებულია ზომები მცხოვრებთა დასახმარებლად.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

გოლუბოვი თავმჯდომარეობს. საბჭო განაგრძობს ქალთა მემკვიდრეობის უფლებებში მამა-კაცებთან გათანასწორების კანონ-პროექტის განხილვას. კომისიის უმრავლესობის სურვილით კანონთა კრებულის მეათე ტომის 1068 მუხლს, რომელიც მამა-პაპეულ ქონების ანდერძით დატოვებას ჰკრძალავს, ორი მუხლი მიუმატეს: პირველი და მეორე, რომელნიც უფლებას აძლევენ მშობლებს თავისი სურვილით დაუტოვონ ქონება თვის პირდაპირ შთამომავლობას, თუ ასეთი არა ჰყავთ, რომელიმე ნათესავს, მაგრამ უსათუოდ იმ გვარისას, რომლიდანაც მას სამემკვიდრო ერგო, მიიღეს **პლატონოვის** წინადადება, რომლითაც მამ-პაპეული ქონების მემკვიდრე ვალდებულია ფული აუნაზღაუროს სხვ. მემკვიდრეებს თვისი წილით.

რადგანაც კანონ-პროექტში მრავალი ცვლილება შეიტანეს, იგი შემათანხმებელ კომისიას გადაეცა.

შემდეგი სხდომა 17 თებერვალს მოხდება. განსახილველია ადგილობრივი სასამართლოს კანონ-პროექტი.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **უწ. სინოდის სამოსწავლო კომიტეტის წევრი მ. ი. სავაიცკი.** რომელმაც საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლები უნდა დაათვალიეროს, ტფილისში ჩამოვიდა.

✦ წარსულ სამოსწავლო წელს საქართველოს საექსარხოსოში **284 სამრევლო სკოლა** ყოფილა. ამათში ორ-კლასიანი 31 ყოფილა, ხოლო ერთ-კლასიანი—253. ქართული ყოფილა—97, რუსული—80, ბერძნული—70, ოსური—7 და სხვ.

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 13 თებერვალს ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი ნ. ლ. პეტერსონი, რომელიც პეტერბურგიდან 12 თებერვალს დაბრუნდა.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო,** მოწვეულ იქმნას: 1) ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა კრება 26 თებერვალს, დილის 11 საათზე, ტფ. დეპუტატთა საკრებულოს სადგომში და 2) სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრება 26 თებერვალს, 12 საათზე, ქალაქ სიღნაღში.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება: ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 2,583,533 მან.

✦ **ზელიმ-ხანის** გამო ამ დღეებში შეუპყრიათ ამ ყაჩაღის 50 ნათესავი. ბრალდებათ ზელიმ-ხანის დაფარვა.

✦ **უკვალოდ დაკარგული,** პეტრე ნაყოფია გვთხოვს შემდეგი გამოვაცხადოთ: „წარსულ წლის 21 ნოემბერს უკვალოდ **დაიკარგა ალექსი ნაყოფა;** მისი ნიშნები: პირი მოგრძო აქვს, თმა შავი, ეყურება, მაგრამ ლაპარაკი არ შეუძლიან, რადგანაც ბუნებით მუნჯია. მნახველს ვთხოვ, ჩამაბაროს, რისთვისაც ას (100) მანეთს ჯილდოს მიიღებს. ჩემი ადრესი: სოფელი გალი, სამურზაყანოს ნაწილი, სოხუმის ოლქისა.

✦ **სალიტერატურო გასამართლება** 19 თებერვალს, დილით, საარტისტო საზოგადოების დარბაზში რუსულ ენაზე გაასამართლებენ შექსპირის გმირს „ოტელოს". მონაწილეობას იღებენ: მცხოვანი მგოსანი აკაკი, სომხის ცნობილი მწერალი ა. მ. შირვანზადე, ლეო, გ. დ. ლევონიანი, გ. ბ. გვაზავა, ივ. ფ. პალმოვი, შ. ვ. მესხიშვილი, რ. ს. ლომინაძე, ი. ნუაბიძე, გ. ფ. ჟორდანია. ქ-ნნი: ფლ. ს. ვარდანიანი, დ. ზ. განდეგილი, ე. ი. ელიავა, ე. ი. ქიქინაძე, მ. ე. ორჯონიკიძე-ტოროშელიძისა და მ. ი. ჩხეიძე.

✦ 16 თებერვალს სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში **მეორე სამუსიკო საღამო** გაიმართება ამავე სასწავლებლის მოსწავლეთა მიერ.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „კოოპერაციის" № 21—4 შემდეგის შინაარსით: 1) მოწინავე: მომხმარებელი საზოგადოების მნიშვნელობა, —ი. გ—ასი; 2) პროფ. ა. ი. ჩუპროვის სურათი; 3) პროფ. ა. ი. ჩუპროვი—ბიოგრაფია; 4) მომხმარებელ საზოგადოებათა ისტორიული განვითარება; 5) სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია; 6) კოოპერაცია და ხელოსნები; 7) კოოპერაცია და წვრილი ვაჭრები; 8) კოოპერაცია და მუშები,—დ. ღ—ძისა; 9) წვრილი კრედიტის ისტორია, — თ-დ ზ. მიქელაძისა; 10) მიმდინარე ცხოვრება; 11) დამაკვირდი; 12) კოოპერაცია ჩვენში: 1) კუხის შემნახველ-გამსესხებელი „ამხ.", 2) კუხის მეაბრეშუმეთა „ამხ.", 3) ქუთაისის საკრ. ამხ., თავმჯდომარის სურათით 4) აბაშის მომხმ. საზ. „ანგარიში" და სხვ. 13) უცხოეთის კაპიტალი დასავლეთ საქართველოში, — დ. ღ - ძისა; 14) საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა კავშირის წესდება და სხვ. ჟურნალი ეგზავნება მხოლოდ ხელის მომწერლებს. მსურველებმა უნდა დააჩქარონ ხელის მოწერა.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას** ექიმმა მ. გედევანიშვილმა სთხოვა, ნება მომეცით, სრულიად გამოვცე ილია ჭავჭავაძის ნაწერებიო.

✦ **გორის ხაზინის ქვეშ თხრილის გაყვანის საქმე,** რომლის გამოც სამართალში მიცემულია 6 კაცი და 5 ქალი, ოლქის სასამართლოს გადაეცა გასარჩევად.

✦ **პანაშვიდი.** გუშინ ვანქის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სომხეთა ნერსესიან სემინარიის დამაარსებელ, სრულიად სომხეთა კათალიკოსის ნერსეს მეხუთის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ ძალი ხალხი დაესწრო.

✦ სომხურ [illegible] მირქმა უფლისა გუშინ იყო. ამიტომ გუშინ სომხური [illegible] დაწესებულებანი დაკეტილი იყო. ამავ მიზეზით დღეს სომხური გაზეთები არ გამოდის.

✦ **კიდევ მეპურენი.** როგორც ვწერდით, ამ დღეებში ბევრს მეპურეს შეუდგინეს ოქმი სამართალში მისაცემად. მეორე სამორიგებლო განყოფილებამ გუშინ და გუშინ წინ უკვე 74 ოქმი მიიღო. საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

✦ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის საბჭომ დააწესა: ძროხის ხორცი 14 კაპ. ნაცვლად წინანდელ 13 კაპიკისა, ცხვრისა—16 კაპ. ნაცვლად 15 კაპ. და კამბეჩისა—9 კაპ. ნავლად 8 კაპ.

✦ **მტკვარში დამხრჩალი.** 13 თებერვალს პრიბილევ ს ქუჩის მახლობლად მტკვარში იპოვეს დამხრჩალ კაცის გვამი. უცნობი აღმოჩნდა სოფ. ბოდბისხევის მცხოვრები მიხეილ ივანეს ძე ჩაბაშვილი, რომელიც კონსტანტინეს ქუჩაზე, თავის სახლში სცხოვრობდა.

✦ **ქალაქის საბჭოს** ხმოსნებმა 13 თებერვალს კრებაზე ფეხზე ადგომით პატივი სცეს ამ დღეებში გარდაცვლილ მასწავლებელ პლამენევსკისა, პროფ. ხალათიანისა და ინჟინერ ალიხანოვის ხსოვნას.

✦ **ვერცხლის ჯვრების მოპარვა ქვაშვეთის ეკლესიიდან.** 13 თებერვალს, წირვის დროს, ქვაშვეთის ეკლესიის საკურთხევლიდან ვიღაც უცნობებმა ვერცხლის ორი ჯვარი მოიპარეს. ამ საქმის გამო ქუჩაზე ეჭვით შეიპყრეს სიღნაღის მცხოვრები არტემ ივანეს ძე აივაზოვი, რომელიც ეტლით მიდიოდა და თან ჯვრები მიჰქონდა. აივაზოვი, რომელსაც ღირსება ახდილი ჰქონია ქურდობისათვის და რომელსაც ოთხის წლის სასჯელი მოუხდია პატიმართა გამასწორებელ რაზმში, ქურდობაში გამოტყდა. ჯვრები ეკლესიის გამგეს გადაეცა.

✦ **„ნაკადული"** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული"-ს მესამე ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

✦ 13 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, მარმარაშვილის რესტორანში (რუსის ქუჩაზე) ამავ რესტორანის მოსამსახურენი ყაზარ ივანეს ძე პარმუზოვი და გიორგი ალექსის ძე ბიბილური წაიჩხუბნენ. ჩხუბის დროს ბიბილურმა პარმუზოვი დანით მარჯვენა ფერდში დასჭრა. დაჭრილს სამკურნალო დახმარება მიხეილის საავადმყოფოში აღმოუჩინეს. ბიბილური შეიპყრეს,

✦ 13 თებერვალს განოვის ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით სამის კვირისა. ბავშვი ოლგას სახებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ 13 თებერვალს ტფილისში 27 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ავლაბარში დედათა პროგიმნაზიის** დაარსების თაობაზე 12 თებერვალს კრება ჰქონდათ ავლაბრის კლუბის წევრებს, ქალაქის თვითმმართველობისა, ვაჭრებისა, ხელოსანთა, მასწავლებელ-ქალთა და სხვათა წარმომადგენლებს. კრებამ საჭიროდ იცნო, დაარსდეს ავლაბარში კერძო პროგიმნაზია მთავრობის პროგიმნაზიების უფლებებით და აირჩია საორგანიზაციო კომისია 11 კაცისაგან. ვარაუდით პროგიმნაზიას სწავლის ფულისაგან 13,500 მან. შემოსავალი ექნება, ხოლო ხარჯი 19,000 მან.

✦ **საელექტრონო სადგურის მომწყობ კომისიაში.** 11 თებერვალს ქალაქის საბჭოს იმ კომისიის კრება მოხდა, რომელსაც საელექტრონო სადგურის აშენება და მოწესრიგება აქვს მინდობილი. კრებაზე გამოირკვა, წინანდელ კომისიას არაფერი არ უკეთებია: არც პროექტი განუხილავს, არც ხელ-შეკრულება იმ ფირმებთან, ვისგანაც გამოწერილი აქვს სხვა და სხვა მანქანა, არც საიჯაროდ გასაცემ საქმეებში მიუღია მონაწილეობა და სხვა. მთელი ეს საქმე გამგეობას მოუწესრიგებია შინაურულად, კომისიის დაუხმარებლად. გამოირკვა, რომ ეს საქმე აქამდე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მის დამთავრებას კიდევ წელიწადი უნდა ამ საქმეზე 554,000 მანეთი იხარჯება. საქმე იმის გამო შეფერხებულა, რომ კომისიის კრებები ან სულ არა ყოფილა და, ან ძალიან იშვიათად. მომხდარა ისიც, რომ კომისიის თავმჯდომარე ტ. ენფინჯიანცი მარტო სწყვეტდა საქმეებს და კომისიის წევრებმა კი არა იცოდნენ რა. აღსანიშნავია შემდეგი ფაქტიც: ამ საქმისათვის გამგეობას მოსკოვის ფირმისა „ვიშნევოვის და ამხ. ქარხნისათვის შეუკვეთია კაბელი, ხოლო

ამ ფირმის თავის მხრივ ტფილისის ფირმის ინჟინრისათვის მიუნდვია მისი მიწაში ჩალაგება. მარტო მუშაობა, უმავთულოდ, ერთი საჟენის სიგძის არხის გაჭრა, კაბელის ჩაწყობა და მიწის წაყრა მოკირწყვლის მოწესრიგებით ქალაქს ახლა ხუთი მანეთი უჯდება, ნაცვლად ნამდვილის ფასის 2 მანეთისა. სამუშაო სულ 30,000 მან. არის იჯარით გაცემული და მაშასადამე 18.000 მანეთი იკარგება. ასეთი საქმე უნდღირძა ძველმა კომისიამ ახალსა.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 13 თებერვალს მოხდა ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა განსვენებულ გრაფის დ. ა. მილიუტინის ქალიშვილების სამადლობელი დეპეშა და შემდეგ მორიგ კითხვებზე გადავიდა. ე. ი. ზუბალაშვილის სახალხო სახლის გამგე კომისიის წევრთა არჩევა პეტერბურგიდან ა. ი. ხატისოვის დაბრუნებამდე გადაიდო. ბათომის ქუჩის თაობაზე საბჭომ დაადგინა, შეიტანოს ეს ქუჩა 1913 წელს მოსაკირწყლავ ქუჩათა საერთო სიაში. ხმოსან ქობულაშვილის განცხადება ნაძალადევის სატრამვაიო ლიანდაგის გაგრძელების შესახებ სატრამვაიო კომისიას გადაეცა. ა. ი. ხატისოვის დაბრუნებამდე გადაიდო აგრეთვე საკითხი იმის შესახებ დაეთმოს თუ არა იჯარით სომხურ სამეურნეო საზოგადოებას საქალაქო მიწა ავლაბარში. დასასრულ საბჭომ დაადგინა: გამართვას ეჩმიაძინის მონასტერს 80 საჟ. მიწა მუხრანის ქუჩის გასაფართოვებლად და სამაგიეროდ მიეცეს ამდენივე საჟენი საქალაქო მიწა. დანარჩენ მიწის მესაკუთრეთა შესახებ, რომელნიც 80 საჟენ მიწას ქალაქს 120,000 მანეთზე ნაკლებ არ უთმობენ, საბჭომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა, რათა მათ მიწა იძულებით ჩამოერთვათ.

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება დღეს მოხდება. განსახილველად კომისიას, როგორც გადმოგვცეს, დიდძალი საქმე მოჰგროვებია.

◆ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა** საგანგებო კომისიის კრება დღეს მოხდება,

სასამართლო

◆ **თავ. დადეშქელიანის მოკვლის** საქმის გამო სასჯელ-დადებულმა კობახიძემ ბრალდებულს წერილობითი განცხადება გაუგზავნა, სხვა ბრალდებულებს ხელი ტყუილად დავადეო.

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** 12 თებერვალს განჯისა, ბაქოსა, პეტროვსკისა, კავკავისა და პიატიგორსკისაკენ გაემგზავრა.

ქუთაისი.

◆ ალ. გარსევანიშვილს, გრ. გველესიანს, ალ. ჯანელიძეს, დ. უზნაძეს, ვ. წერეთელს, დ. ქუთათელაძეს, ჯ. ჯორჯიკიას, ლ. ნათაძეს, ა. თორაძეს და სხვათ განუზრახავთ დაარსონ ქუთაისში **სამეცნიერო წრე**, რომლის კომპეტენციას შეადგენს წმინდა მეცნიერული მუშაობა. ზემოხსენებულმა პირებმა ამის შესახებ 10 თებერვალს იქონიეს თათბირი და შეიმუშავეს წრის წესდება, რომელსაც ამ მოკლე ხანში წარუდგენენ დასამტკიცებლად ქუთაისის გუბერნატორს.

◆ სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელმა ნოე კორძაიამ, წერილობითი წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქმა შეიძინოს ბანკის მამული, სამსონ თოფურიასეული, მომავალ **ქალაქის თეატრის შენობისათვის.** ამ მამულზე ბანკის ვალია 75,326—96 კ. ბანკი თანახმაა მოურიგდეს ქალაქს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის გამოცემა** დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში გასაყიდად გამოვა. ეს წიგნი შედგენილია ალ. გარსევანიშვილის მიერ და აქვს შემდეგი სათაური: **„უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“.** წიგნი ღირება ორ შაურად.

◆ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე, **გ. ფ. ზდანოვიჩი პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინება:** ყველა ის საკითხი—მექანიკურ ჩამოსაშვებისა, ჭიათურის შტოზე ტარიფის დაკლებისა, მაღაროებში წყლის გაყვანისა და საბჭოს სესხის აღებისა და სხვა მინისტრთა საბჭომ ჭიათურის მრეწველთა კრების სასარგებლოდ გადასწყვიტა. რაც შეეხება ტარიფის დაკლებას, ამას სატარიფო კომიტეტი გადასწყვეტს.

◆ **შავიქვის გაზიდვის საქმე ბათომში** თანდათან იზრდება, იმ 4 მილიონი ფუთიდან, რომელიც იანვარში უცხოეთში გაიტანეს, ბათომით ერთი მილიონი ფუთი გასულა. ასეთი ზრდის მიზეზი, სხვათა შორის ისაა, რომ ბათომით გაზიდულ ქვას საფუთო გადასახადი არ ადევს. („კოლხ.“)

◆ კვირას 12 თებერვალს ქალაქის საბჭოს დარბაზში, მოხდა კრება **„მომხმარებელი საზოგადოებისა“**, ხალხი ბლომად დაესწრო. **ბ. ი. გაბილაიამ** წაიკითხა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი ტიპის „მომხმარებელი საზოგადოება“ უნდა დაარსდეს ქუთაისში. დამსწრეთა შორის გაიმართა კამათი. დაადგინეს, რაც შეიძლება მალე შესდგეს წევრთა საკმაო რიცხვი, რომ საზოგადოებამ მოქმედება დაიწყოს; ამისთვის არჩეულ იქნა დროებით კომისია, რომელიც მომავალ სექტემბრამდის მოაწყობს საქმეს, შეჰკრებს სმკაო წევრთა რიცხვს, შეიმუშავებს საზოგადოების მოქმედების გეგმას და გამოარკვევს საკითხს იმის შესახებ, თუ რა ტიპის მომხმარებელი საზოგადოება დაარსდეს. **კომისიის წევრებად აირჩიეს: ი. ოცხელი, სერგო რობაქიძე, ფილ. ხელაძე იას. გაბილაია, გრ. გიგინეიშვილი, ალ. მანდარია და პ. ლოლობერიძე.**

◆ ქუთ. მაზრის უფროსის განკარგულებით ს. სვიმონეთის ახლოს კეთდება საზოგადოების ხარჯით **ელექტრონის წისქვილი.** მთავრობას მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისთვის, რომ ზაფხულობით უწისქვილობის გამო მცხოვრებლებს ძლიერ შორს უხდებოდათ სიარული

◆ ამავე მაზრის უფროსის განკარგულებით მდ. ყვირილაზე, სვიმონეთის პირდაპირ კეთდება **საზოგადო ბორანი**, „თვითმფრინავი“-ს სისტემისა.

◆ ხუთშაბათს 16 თებერვალს ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია **ქუთაისის ვაჭრების კრება.** კრების საგანია: წარმომადგენლის არჩევა სრულიად რუსეთის საშუალო და წვრილ ვაჭარ—მრეწველთა კრებაზე დასასწრებლად. ხსენებული კრება მოხდება ამ წლის 15 აპრილს.

◆ ქართველთა შორის წ.-კ.-გამავრცელებელ საზოგადოების **სამტრედიის განყოფილებასთან არსებული სახალხო წარმოდგენების სექცია,** 18 თებერვალს დ. სამტრედიაში გამართავს წარმოდგენას, ითამაშებენ ვ. გუნიას „და-ძმას“.

◆ **ხონის დრამატიულ საზოგადოების** ჯგუფი უკვე ემზადება მომავალ ზაფხულშიაც გასული წლის მსგავსად მოაწყოს დ. ხონში წარმოდგენების სისტემატიური მართვა

◆ ნაოლალევის ინტელიგენციას განუზრახავს დ. ნაოლალევში აგოს იაფ-ფასიანი **საზაფხულო შენობა.** ზაფხულობით სისტემატიურათ წარმოდგენებს გამართავენ.

◆ განზრახული აქვთ დ. ბანძაში გახსნან უფასო სამკითხველო. სამკითხველოს შენობისათვის მიწა დაუთმია აქაურ მემამულე ფალავას.

◆ ზუგდიდის მაზრის ერთ სოფელში დარაჯებს **მოუკლავთ ყაჩაღი შურგაია.** ის ამ რამოდენიმე წლის წინად ყოფილა კატორღაში გაგზავნილი. კატორღიდან გამოპარულა, მოუკლავს მოწმე რომელმაც მასზე აჩვენა სასამართლოში, შემდეგ ისევ ჩავარდნია მთავრობას ხელში, მეორე საქმისათვის განმეორებით მიუსჯიათ კატორღა. ორი თვის წინად ქუთაისის ციხიდან შურგაია ზუგდიდს წაუყვანიათ, გზაზე გაჰქცევიათ დარაჯებს და მოუკლავს რამდენიმე კაცი.

◆ ახალსენაკში ამ დღეებში მოხდება კრება **სენაკის საურთიერთო ნდობის საზოგადოების** დაარსების კითხვის საბოლოო გამოსარკვევად.

◆ გოჩა-ჯიხაიში განუზრახავთ დაარსონ **კოოპერატიული დუქანი.**

◆ ამას წინად ბაქოში დაატყვევეს და ქუთაისში ჩამოიყვანეს **ალექსანდრე გამსახურდია.** ის ამ ჟამად ქუთაისის ციხეში ზის. აბრალებენ მონაწილეობის მიღებას 1905 წ. **სამეგრელოს რევოლიუციონურ მოძრაობაში.** („ცხო.“)

კიდევ ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტის გამო

(გაკვრით)

„სახალხო გაზეთის“ მკითხველი, ამ რამდენიმე დღის წინად, შეხვდებოდა გაზეთში (№ 520) მოთავსებულ წერილს ვინმე ბ. კეთილისმყოფელისას ტფ. სამასწ. ინსტიტუტის შესახებ. როგორც შინაარსიდგანაც სჩანს, აღნიშნული წერილი უნდა ეკუთვნოდეს სამასწავლებლო ინსტიტუტშივე მოსწავლეს და ამიტომ ზედ-მეტად გაგვაკვირვა ამ წერილის ერთმა უსაფუძვლო ადგილმა, სახელდობრ, სადაც წერილის ავტორი უსაყვედურებს ქართველ სოფლის მასწავლებელს და საზოგადოდ ჩვენებურ ახალგაზდობას, რომ ვითომ იგინი გაურბოდნენ ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტს და დასძენს: **„ტყუილია ის ამბავი, ვითომც ინსტიტუტი ქართველებს არ იღებენო!..**

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:

ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,

და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

თუ სხვა გვარი, ჩვენთვის უცნობი, მოსაზრებით არ იყო გამოწვეული აღნიშნული უსაფუძვლო შენიშვნა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ წერილის ავტორი მეტის-მეტი გულუბრყვილო ყოფილა და სრულებით ანგარიშს არ უწევს ნამდვილად არსებულ პირობებს და სახელდობრ იმ მრავალთათვის აშკარა ფაქტს, რომ **მართლაც აღარ იღებენ ქართველებს** იმ სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც თითქოს ამიერ კავკასიის, მკვიდრთათვის არის დაარსებული და სადაც სამართლიანია შიგ მოსწავლეთა უმრავლეს რიცხვს, ქართველობა უნდა შეადგენდეს, რაზედაც მკითხველი, ქვემოდ მოყვანილ საბუთების ძალით, დაგვეთანხმება. ჩვენ შეგვეძლო მრავალი კერძო მაგალითებიც მოგვეყვანა ნათქვამის დასასაბუთებლად, მაგრამ ემჯობინება საგანს საზოგადოდ შევეხოთ.

თვით ავტორი წერილისა აღნიშნავს, რომ წინა წლებში ინსტიტუტში მოსწავლე ახალგაზდობის ორ მესამედს ქართველობა შეადგენდაო, და დასძენს, რომ „ეხლა მხოლოდ ხუთი კაცი ღა სწავლობს და **1910 და 1911 წლებში არც ერთი ქართველი აღარ მიუღიათო**“. როგორ? თუ ამ 10—20 წლის წინედ ქართველები მოსწავლეთა $^2/_3$ შეადგენდა, ე. ი. ასობით აწყდებოდა ამ სასწავლებელს, მაშ ეტყობა რაც დრო გადის, ავტორს თუ დაუჯერებთ, მცირდება რიცხვი ჩვენებურ მოსწავლე ახალგაზდობისა და ეს ხომ წინააღმდეგი მოსაზრება იქმნებოდა თუნდა იმავ ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობებისა, რომელიც ყოველწლიურად იბეჭდება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ.

ჯერ ერთი ვიკითხოთ, ვისგან შესდგება ინსტიტუტში უმთავრესად მოსწავლეთა კონტიგენტი? ესენი არიან თითქმის განსაკუთრებით სამოქალაქო 4 კლასიან (პროგიმნაზიულ კურსით) სასწავლებლებში კურს დამთავრებული ახალგაზდები. შესწუხდით და თვალი გადაავლეთ იმავე ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობებს და ადვილად დარწმუნდებით, რომ დიდი უმრავლესობა სამოქალაქო სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობისა ქართველობაა. ეს ადვილი ასახსნელიც არის: ქართველობა, როგორც ნივთიერად ხელმოკლე ხალხი, ნაკლებად ეტანება დიდ-ხარჯიან საშუალო სასწავლებლებს და იძულებულია დაკმაყოფილდეს იაფ-ფასიან სასოფლო და სამოქალაქო სასწავლებლებით.

ამის შემდეგ, თავისთავად კითხვა იბადება; როგორ მოხდა (ან რომელი ჭკვათა-მყოფელი დაიჯერებს) რომ, თუმცა ამ 10—20 წლის წინეთაც იყო საკონკურსო ეგზამენები, ქართველობა ინსტიტუტს ასობით აწყდება და ეხლა კი, როდესაც თითქმის ერთი ათად გამრავლდა სამოქალაქო-სასოფლო სასწავლებლები და რიცხვი მოსწავლე შეგირდებისა, მთელი ორი წლის განმავლობაში ერთი ქართველიც ვერ ჰღირსებია ინსტიტუტში შესვლას? მართალია ოფიციალურად და საჯაროდ განგაშს არავინა სცემს, რომ ინსტიტუტში ქართველებს აღარ ვიღებთო მაგრამ, იმ თქმულობისა არ იყოს, ბრმას რომ ცოლის სიკვდილი არა სჯეროდა,—ნუ თუ ასეთ აშკარა ფაქტს კიდევ გამოცხადება სჭირდება?..

დიახ, აშკარა ფაქტები იმას ღაღადებენ: რომ სამასწავლებელო ინსტიტუტი თუმცა ადგილობრივ მკვიდრთათვის არის დაარსებული და ასობით არის ყოველწლიურად სწავლის გაგრძობის მსურველი ჩვენებური ახალგაზდები, (რომელთაც 4 კლ. სამოქ. სასწავლებელი გაუთავებიათ და თითქმის სხვა პირდაპირი გზა საშუალო სწავლის მისაღებად არა აქვთ) მაგრამ ინსტიტუტში შესვლას ვერ ჰღირსებია და ამავე დროს ადგილი მკვიდრთა მაგიერ შორით-შორიდგან ახლად გადმოხვეწილ უცხოთ კი სტუმარ-მოყვარულად ეკიდებიან. ეს შეიძლება უმაღლეს მთავრობის სურვილს არც კი ეთანხმებოდეს, მაგრამ ადგილობრივ რუს გადაჭარბებულ პატრიოტ-ნაციონალისტების სულისკვეთება ხომ მოგეხსენებათ.

სამასწავლებლო ინსტიტუტი ამზადებს სახალხო-სამოქალაქო, დაბალ სკოლების მასწავლებლებს, რომელთათვისაც ჩვენში მოღვაწეობის დროს, რა თქმა უნდა, უდიდეს საჭიროებას უნდა, შეადგენდეს ადგილობრივ მკვიდრთა ენების ცოდნა, მაგრამ ეს ხომ გადაგვარების პოლიტიკაში ხელს შეუშლიდა მუნჯურ (ცნობილ ლევიცკის) მეთოდის მოტრფიალეთ...

ამით აიხსნება, რომ უწინ თუ ჩვენებურ სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებელთა უმრავლესობას ქართველობა, ან სხვა ადგილობრივი მკვიდრივე შეადგენდა, ეხლა თუ შეხვდები უკანასკნელთაგანს ერთს, ან ორ, ისიც დაბეჩავებულ კაცს.

ადამიანმა განგებ თვალები უნდა დახუჭოს, რომ ყველა ეს არ დაინახოს და მაშასადამე, სირცხვილია ჩვენც ხელი შეუწყოთ ჩვენებურ სკოლებში გამეფებულ ესრე უდიერ პოლიტიკას და ის მცირე მოქალაქობრივი გაბედულობა მაინც უნდა შევირჩინოთ, რომ ეს სამწუხარო მოვლენა შესაფერის სახელით აღვნიშნოთ ხოლმე...

გ. ა—ციხელი.

წერილი ხარკოვიდან

(დასასრული *)

აიხადა ფარდა. დაიწყო მოქმედება. ერთობ დიდი განსხვავება შევამჩნიეთ წინედ დადგმულ და ამ დღეინდელ დადგმულ „ღალატში“. შესამჩნევად დასტყობოდა ნიჭიერ და გამოცდილ დირიჟორ-რეჟისორის ხელი.

გათავდა მეორე მოქმედება. აიხადა ფარდა **იპოლიტოვ-ივანოვი** იდგა შუა-სცენაზე, მას გარს ეხვივნენ ყველა არტისტები, რომელნიც „ღალატ"ში“, იღებდენ მონაწილეობას და, სხვა ყველა არტისტებიც. ორკესტრმა აღგზნებული მარში დაუკრა. შემდეგ სცენაზე გამოჩნდა საოპერო თეატრის დირიჟორი და არტისტების სახელით მიულოცა და მადლობა გადუხადა იმ მოღვაწეობისათვის, რომლითაც გაამდიდრა სამშობლო მუსიკა და სთხოვა, კომპოზიტორს არ დაევიწყებინოს ხარკოვი და კვლავაც ხშირად სწვეოდა. შემდეგ **ადრესი წაუკითხეს ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებმა:**

„ღრმად-პატივცემულო მიხეილ მიხეილის ძევ!

ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები, შვილნი იმ ქვეყნისა, რომლის პოეტურ გარდმოცემათაც მიუალერსა თქვენმა გაბედულმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ, გილოცავენ თქვენ ღირს-შესანიშნავ საათს. ჩვენ უძლურნი ვართ გამოვთქვათ ყოველივე, რაც გვაღელვებს ამ წუთებში. ჩვენ წინ გრძელ-გრძელ რიგებად ჩამწკრივებულნი მიიმართებიან აჩრდილნი მეფეებისა და გმირებისა, რომელთაც თავი გასწირეს, დაიღუპნენ ხალხისათვის, მის პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ თავისუფლებისათვის. ჩვენ წინ სდგანან: ოთარ-ბეგი, ანანია-გლახა, საბა, ერეკლე. ჩვენს წინ სდგას ზეინაბი თავისის რთულის სულითა და გულით, რომელიც ალსავსე იყო სიყვარულით მამულისა და თავის მშობელ ხალხისადმი.— ჩვენს წინ სდგანან სულეიმანები—ეს ტირანნი სულისა და გულისა, აზრისა და ნებისა, სულეიმანები, რომელთაც წმინდა ივერია დაღუპვის უფსკრულამდე მიიყვანეს. ტრაღიკულია ბედი იმ ქვეყნისა, რომლისათვისაც ქება-დიდება შეუსხავს არა-ერთს მსოფლიო პოეტს. განსაცვიფრებელია ბუნება და ისტორიული გადმოცემანი იმ ქვეყნისა, სადაც იყო „მიჯაჭვული პრომეთეოსი“.

ყოველი მნათობი რუსეთის პოეზიისა, დაწყებული, მათში ყველაზე უფრო გამოჩენილი, „რუსეთის პოეზიის მზის“,—პუშკინისაგან, ფრთოვანდებოდნენ მის სიმშვენიერით. გლინკა, დორგომიჟსკი, მუსორგსკი, სეროვი, რუბენშტეინი, ბოროდინი ჰქმნიდნენ მელოდიებს მის ხალხურ მოტივებისაგან. მისმავე მოტივებმა აღაფრთოვანეს თქვენ და გადაგადგმევინეს ახალი, განსაკუთრებული ნაბიჯი თვითარს ნაწარმოების შესაქმნელად, რომელსაც ქართული ელფერი ატყვია. თქვენმა საქართველოში ხანგრძლივმა ყოფნამ მუქთად არ ჩაგიარათ,—ჩვეულებრივის გულისხმიერებით შეისწავლეთ, როგორც ეროვნული ქართული სიმღერები, აგრეთვე თავისებური საეკლესიო მუსიკა და მათი შესახები ლიტერატურა გაამდიდრეთ ცნობილ მდიდარ გამოკვლევებით. თქვენამდე, ღრმად პატივ-ცემულო მ. მ., რუსეთის საზოგადოებას შეეძლო მოესმინა, მხოლოდ ცალ-ცალკე სიმღერები, რომელნიც შემუშავებულნი იყვნენ რუსეთის სხვა და სხვა კომპოზიტორების მიერ. თქვენ კი პირველმა ფართედ გამოიყენეთ აღმოსავლეთის აუარებელი მოტივები, პირველმა შეჰქმენით მთლიანი მუსიკალური ნაწარმოები ქართულ სიუჟეტზე. ეს ნაწარმოები, მატარებელია ქართულის კოლორიტს, თვალწინ გვიშლის ხალხის სულიერ ცხოვრებას, საიდუმლო ემოციებსა და განცდათ მის დაავადმყოფებულ და გატანჯულ სულისას. ეს ნაწარმოები დიდხანს აფრთოვანებს, სულს შთაუდგამს არა ერთს თაობას. ისინი აღელვებენ სულსა და გულს და ნაზ სიოსავით მოგვბერენ ჰაეროვან მიწყენილობას. ისინი მოგვაგონებენ მრავალ-ტანჯულ ქვეყანას, სამშობლოს ოთარ-ბეგისას, ზეინაბისას და სულეიმანების მოქმედების სარბიელსა. ისინივე გვაღელვებენ ჩვენც ამ წუთას და გვიწვევენ მოგმართოთ დიდის მადლობითა და ქება-დიდებით თქვენ, შემქმნელო იმ ნაწარმოებთა. დაბოლოს, ესენივე გვიწვევენ გთხოვოთ გულწრფელად, რომ თქვენმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ უფრო და უფრო ფრთები შეისხას, გამაგრდეს, რომ იგი არ შესწყდეს და კვლავ მიიმართებოდეს მრავალ-ტანჯულ ივერიისაკენო.

ამ ადრესის წაკითხვის შემდეგ კომპოზიტორს მიართვეს ეს ადრესი მშვენიერს პაპკაში და აგრეთვე ცოცხალ ყვავილების მშვენიერი თაიგული. მუსიკამ მარში დაუკრა... აღტაცებული საზოგადოება ტაშის კვრასა და „ურას“ ძახილს აღარ ათავებდა.

აღსანიშნავია, რომ ამ დღესაც იჩინა თავი ქართველთ შორის ერთმა არა სასიამოვნო ამბავმა.

ადრესი, როგორც ზევითაც სჩანს, მიართვეს ყველა ქართველ სტუდენტთა სახელით. მაგრამ იმ საღამოს, გამოვიდა სცენაზედ ორი ქართველი სტუდენტი და კომპოზიტორს დაფნის გვირგვინი მიართვა ქართველ სათვისტომოს სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ სათვისტომოს წევრების უმრავლესობას საერთო ადრესსზე ეწერა ხელი.

იმედია, ასეთ საქციელს ადგილი აღარ ექნება.

ამას წინედ იურიდიულ ფაკულტეტს კრება ჰქონდა, რომელზედაც განიხილა საპრემიოდ წარდგენილი ნაწარმოებნი. წარდგენილი იყო სამი თემა. მათ შორის ერთი ასეთი „ალფრედო ფულიეს შეხედულება უფლებაზე მის ფილოსოფიასთან შეთანხმებული“. როგორც ამ თემაზე, აგრეთვე სხვებზედაც მრავალი სამუშაოები იყო წარდგენილი. ყველა წარდგენილ სამუშაოებში ოქროს მედალი მიიღო მხოლოდ ერთმა,—სერგო ბარამიძემ. (პირველ თემაზე დაწერილ სამუშაოში). ადვილი შესაძლებელია, რომ ხსენებული ქართველი უნივერსიტეტში დასტოვონ, თუ თვითონაც მოისურვა.

დ. ელიოზიშვილი.

სტუდენტთა ცხოვრება.

— **პეტერბურგის უნივერსიტეტში** 31 იანვარს სტუდენტებმა კრება გამართეს, რომელზედაც 1000 კაცი დაესწრო. მიიღეს რეზოლიუცია, მოითხოვონ რომ უნივერსიტეტიდან შარშან დათხოვნილი სტუდენტები კვლავ მიიღონ. წაიკითხეს სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით დათხოვნილ პროფესორ სპერანსკისადმი ადრესი, რომელშიც აღნიშნულია ის წრფელი გრძნობა, რომლითაც სტუდენტობა მისდამი განმსჭვალული იყო.

— **იურიევის უნივერსიტეტში** სამინისტროსაგან დანიშნულ პროფესორ ვესტენრიკის პირველ ლექციას სტუდენტები დიდის აურ-ზაურით შეჰხვდნენ. ვესტერინკმა ლექცია მეორე აუდიტორიაში წაიკითხა. 2 სტუდენტისა და 3 პროფესორის თანადასწრებით.

— **ხარკოვის უნივერსიტეტში** სამინისტროსაგან დანიშნულ პროფესორს გიმმელისა და სტუდენტთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა. უთანხმოება გამოიწვია ლექციების კითხვის მაგიერ სავარჯიშო სამუშაოთა შემოღებამ.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

მუკდენი. 50 რევოლუციონერმა ქალ. კაიუანსიანის მთავრობას დამორჩილება მოსთხოვა. პოლიციამ სროლით უპასუხა. ცხრა რევოლუციონერი დასჭრეს, რვა მოჰკლეს. პოლიცია ძალიან დაზარალდა და უკან დაიხია. ქალაქი რევოლუციონერებმა აიღეს.

კულჯა. ახალმა მთავრობამ გამოსცა ჩინური ყოველდღიური გაზეთი. ამ დღეებში თურქების გაზეთიც გამოვა. სუიდუნიდან ყოველ დღე გენერალ იანტულინის ჯარს სანოვაგეს უგზავნიან. შიხოზე თავადასხმა სწადიანთ, მაგრამ მთავრობის ჯარი ხელს უშლის დუნგანში ხალხის მოძრაობას'

გაზეთებიდან

მონგოლეთი

პეკინში ხმა გავრცელდა, რუსეთმა მონგოლეთში პოლიტიკა შესცვალა და თავის გავლენას მხოლოდ ურგასა და აღმოსავლეთ მონგოლეთზე გაავრცელებსო.

რუსეთი მონგოლებს სრულიად არ დაეხმარება ჩინელებისაგან ჩამოშორებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში. მონგოლებმა რუსეთსა სთხოვეს, რამენაირად ფული გვისესხეთ სადმეო. რუსეთმა უარი შეუთვალა და თან დასძინა, საპოლიტიკო საქმეში დაგეხმარებიო.

რუსეთის პოლიტიკის ასეთს ცვლილებას მიაწერენ ერთ სახელმწიფოს გავლენას, რომელმაც თურმე რუსეთს პროტესტი განუცხადა მონგოლეთში აქტიური მოქმედების დაწყების გამო.

იმედის დაკარგვა

მონგოლეთიდან პეკინს ჩასული ჩინელთა მოხელენი იუწყებიან, მონგოლები ძალიან ცუდ გუნებაზე არიან და რუსეთისგან შველის იმედი სრულიად დაჰკარგესო. ზოგიერთ ადგილებში მონგოლებმა ისევ ჩინეთის ქვეშევრდომობა აღიარეს,

მოხელენი მთავრობას ურჩევენ მონგოლეთში საჩქაროდ ჯარი გაგზავნეთო.

როდესაც პეკინში გაიგეს, რუსეთი ველარ დაეხმარება მონგოლეთსაო გადასწყვიტეს, რაც შეიძლება ჩქარა შევებრძოლოთ მონგოლებსაო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თეირანი. მორნარის წინადადებით კომისიამ, რომელსაც შეადგენდნენ მთავრობის წარმომადგენელნი, უფროსი ხაზინადარი და ჟანდარმერიის შვეციელი ინსტრუქტორი პოლკოვნიკი რომელსაც დავალებული ჰქონდა სამხედრო სამინისტროს შტატების გადასინჯვა, გადასწყვიტა სამხედრო სამინისტროს გაუქმება მინისტრი ისევ დარჩება, კომისიამ ახალი შტატი უნდა შეადგინოს.

სამი დღის წინად, სალარ-უდ-დოულემ, იარ-მოჰამედის ფიდაიებთან დიდის ბრძოლის შემდეგ, ქირმან-შაჰი აიღო. მთავრობის ჯარმა კენგავერს მიაშურა.

იტალია-ოსმალეთის ომი

სტამბოლი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა სირიასა და პალესტინაში მცხოვრებ იტალიელთა გაძევება. არ გააძევებენ მხოლოდ იმ სასულიერო პირთ, რომელნიც საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იქნებიან. ეს ამბავი ამ ორ კვირაში მოხდება. საფრანგეთის საელჩომ პორტას აცნობა კრეისერ „ადმირალი შარმერის“ ბეირუთში გაგზავნა.

ლონდონი. „ტაიმსი“ ბეირუთის ამბის გამო სწერს, იტალიას ვერავინ მოუწონებს ამისთანა საქციელსაო.

სტამბოლი. ბაღდადის ვალი იუწყება, ზარბაზნის ყუმბარებმა დააზიანა ოტომანთა და სალონიკის ბანკი, დეიტშე ბანკი, საკომერციო ბიურო და საპოლიციო სამმართველოს. ქალაქს 21 ყუმბარა მოხვედრია. დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა ჯერ არ იციან, მაგრამ წინად გამოქვეყნებულს, ეტყობა, აღმატება, რადგანაც მარტო „ავნულაზე“ 50 კაცი დაღუპულა.

ბეირუტიდან იუწყებიან, ზარბაზნის სროლის დროს დრუზთა, არაბთა და ოსმალთა ბრბომ იარაღის მაღაზია გასტეხა და უცხოელებს თავს დაესხა. დაჭრილ-დახოცილი ბევრია, სხვათაშორის რუსეთის ერთი ქვეშევრდომიც. როდესაც იტალიელები გაბრუნდნენ, ქალაქში არეულობა მაინც არ მოსპობილა. თავს დაესხნენ ეტლით მიმავალ რუსეთისა და ინგლისის კონსულებს. ისინი გადაარჩინა ერთმა არაბმა, რომელიც პირადად იცნობდა რუსეთის კონსულსა. როგორც იქმნა, საღამო ხანს, ჯარის შემწეობით არეულობა ჩააქრეს.

ტუნისი. ადგილობრივ მცხოვრებთა და იტალიელებს ჩხუბი მოუვიდათ, მოჰკლეს ერთი იტალიელი. იტალიის საკონსულოის წინ დემონსტრაციებს ჰმართავენ ქუჩებში მცველი რაზმები დადის.

რომი. ტრიპოლისში მისულან საქარის არაბთა წარმომადგენლები და იტალიელებისათვის მორჩილება გამოუცხადებიათ.

ტობრუკი. 12 თებერვალს არაბთა და ოსმალთა რაზმები იტალიელთა სიმაგრეებს დაეცნენ, მაგრამ იტალიელებმა ზარბაზნით მოიგერიეს. ბენგაზში ჯარის გადაყვანას განაგრძობენ.

პარიზი. ოსმალეთის ელჩმა მინისტრ-პრეზიდენტს თავის მთავრობის ნოტა ჩაბარა. ნოტა შეიცავს ბეირუტისთვის ზარბაზნის დაშენისა და პროტესტს დანიელთა კონვენციის დარღვევის გამო.

დეპეშები

საზღვარ-გარედ.

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

14 თებერვალი

რუზველტის კანდიდატურა;

ნიუ-იორკი. დასავლეთის შტატების გუბერნატორმა რუზველტს ჰკითხა, აპირებთ თუ არა პრეზიდენტის არჩევნებზე თქვენი კანდიტატურის წამოყენებასაო. რუზველტმა უპასუხა, თუ წინადადებას მომცემენ, დავთანხმდები კანდიტატურის წამოყენებას და ასე მოვიქცევი, ვიდრე კონვენტი არჩევნებს არ მოახდენსო.

გაფიცვის მოლოდინი.

ლონდონი. ხვალ გაიხსნება მუშათა კონფერენცია, რომელიც პრემიერ-მინისტრს პირადად მოელაპარაკება. ამბობენ, დერბიშირის მთამადნის მუშათა ნაწილი დღეს გაიფიცება. საერთო გაფიცვა პარასკევიდან დაიწყება.

დერბიშირისა და ჩესტერფილდის ოლქის მთა-მადნის მუშებმა ნაშუადღევს მუშაობას თავი დაანებეს.

ახენი. საქვანახშირო ოლქის ქრისტიან სოციალისტებმა უარჰყვეს გაფიცვა, ეს გაფიცვა ინგლისელ მუშათა თანასაგრძნობი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მუშებმა განაცხადეს, ინგლისელებმა გერმანელთა გაფიცვის დროს აუარებელი ქვა-ნახშირი შემოიტანეს გერმანიაშიო.

ბულგარეთის არჩევნები.

სოფია. ბულგარეთის ყველა ქალაქში სათემო არჩევნებზე მთავრობის პარტიამ ადგილების 40% მიიღო. მეფე ფერდინანდი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა.

დემონსტრაცია.

სპლეტი. ხორვატიაში მომხდარ ამბის გამო გამართულ მიტინგის შემდეგ ხალხმა დემონსტრაცია გამართა და უნგრელთა დროშა დასწვა. ხუთი კაცი დააპატიმრეს.

რეკა. სუშუკში (ხორვატია) ვენგერთა საწინააღმდეგოდ აუარებელმა ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა.

ზაგრები. მანიფესტაციები გრძელდება. პოლიციასთან შეტაკების დროს ერთი მძიმედ დასჭრეს, 4 მსუბუქად, 37 კაცი დააპატიმრეს.

სარაევო. მოსტარში უნგრეთის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოხდა, ხალხმა უნგრეთის დროშა დასწვა. პოლიციამ და ჯარმა ძლივს აღადგინა წესიერება. არეულობა ბანიალუკშიაც მოხდა.

ხორვატელთა გადადგომა.

პულიე. რადგან იტალიელები ქალაქის მეურნეობას ვერ უძღვებოდნენ, ხორვატელებმა მუნიციპალიტეტს თავი დაანებეს. მუნიციპალიტეტი მთლად დაითხოვეს.

ჰერცოგის გარდაცვალება.

ლუქსენბურგი. წუხელის გარდაიცვალა ლუქსენბურგის დიდი ჰერცოგი ვილჰელმი. დიდი ჰერცოგის ტახტზე ავიდა მარია-ადელგეიდი.

რუსეთი.

ნაფიც-ვექილთა თანაშემწეთა უფლება

პეტერბურგი. სენატმა განმარტა, რომ ნაფიც-ვექილთა თანაშემწეთ უფლება აქვთ აწარმოონ ადმინისტრაციული საქმეები სავლეხო მიწადმომწყობ დაწესებულებებში ადგილობრივი სამაზრო კრებისაგან განსაკუთრებით მოწმობების მიუღებლად,

იუსტიციის სამინისტროს ახალი კანონპროექტი.

იუსტიციის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში წარადგინა კანონ-პროექტი, რომელიც სასიკვდილო დასახიჩრების მიყენებისათვის სასჯელს ადიდებს და პატიმართა განყოფილება 8 წლის კატორღით უნდა შეიცვალოს.

მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის დახმარება.

პეტერბურგი. ასტრახანის გუბერნატორს 200.000 მან. გადაეცა საზოგადო-სამუშაოს მოსაწყობად; უფის ქალაქის გამგეობას 100.000 მანეთი, სარატოვის გუბერნატორს 744.5000 სათესლეს შესამზადებლად, ურალის ჯარს 76,000 მანეთი საკვებ და სათესლე შესამზადებელ საჭიროებათათვის.

ქართული წერის რვეულები და დედა-ენა II.

1911 წელს პირველ ენკენისთვემდე ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზია ჰყიდდა გოგებაშვილის დედა-ენასთან სახმარებელს რვეულებს №№ 1 და 2. № 1 რვეულში ერთი სტრიქონის დაწერისთვის გახაზული იყო 4 ხაზი და ორიც წინწკლებად—სულ 6 ხაზი, ამასთან 60 შვეული ხაზიც. მეტისმეტი მრავალი ხაზები რვეულისა პატარა მოწაფეს თვალებს უჭრელებდა, რაც დიდი ნაკლი იყო რვეულისა. ამიტომ ქ. შ. წ. კ. გ. ს. მთავარმა გამგეობამ მიანდო ცალკე კომისიას რომ ხსენებული № 1 რვეულის ეს ნაკლი აეცილებინა და რაც შეიძლება ხაზების შემცირებით გამოეცა. კომისიამ შესაძლოდ სცნო წინწკლებად გავლებული ხაზები რვეულიდან ამოეშალა და შვეული ხაზებიც ნაწყვეტ-ნაწყვეტის მაგიერ მთლიანად ჩახაზულიყო ზემოდან ქვეით. ამ სახის რვეული გამოიცა შარშან 1911 წ. აგვისტოში, რაც ამ ჟამადაც იყიდება ქ. შ. წ. კ. გ. საზ. უმთავრეს წიგნის მაღაზიაში. რვეულს წითელი ქაღალდი აქვს საპირედ და ზედ აწერია: „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. გამოცემა. ტფილისი“. ეს რვეული ძველს რვეულს იმითი სჯობს, რომ მომეტებული ხაზები მოწაფეს თვალებს არ უჭრელებს და იაფადაც ღირს; ნაცვლად 3—50 კაპ. ასისა—2 —50 კ.; ცალობით 3 კაპ., ნაცვლად წინანდელი 4 კაპეიკისა. ამას ვაუწყებთ პატივსაცემ საზოგადოებას.

გარდა ამისა პატივსაცემ მკითხველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ დედა ენა II ოცდამეხუთე გამოცემა 1910 წელს დაბეჭდილი გამოილია 1911 წლის მარიამობისთვეში და მას აქეთ იყიდება ოცდა მეექვსე გამოცემა 1911 წელს დაბეჭდილი.

ქ. შ. წ. კ. გამავრც. უმთავრესი საზოგადოების წიგნის მაღაზიის გამგე, **ი. ავალიშვილი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო?

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ქველმო მაჩხაანის ბოქაულს ბ-ნ მ. ნასიძეს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულს არბოშიკის სამინისტრო სასწავლებელს ერთის წლით საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ გამოუწერია.

მასწავლებელი გრ. მირიანაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ხ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარეებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11--12 ს.-მდე. ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(თ. 1646.21)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-

ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში;** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ, სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** გ. ამბოჭაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—28 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

კბილისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და სად., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. **შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.15)

მოდურ-ფართლეულობის მაღაზია

ი. ა.

მირიმანიძის

ფრიდრიხ სოლტ

პეტერბურგის ქუჩა, № 7. საკუთარი სახლი.

მაღაზია არსებობს 1869 წლიდან.

მივიღეთ დიდ-ძალი ახალ-ახალი საქონელი

აბრეშუმეულისა, მატყლეულისა, მაუდეულისა, ტილოსი და ბამბეულისა, სატანისამოსო, საკაბე, საკოფთე.

მივიღეთ ყოველნაირ ფერისა ბენგალინი, ეოლიენი—არშ. 1 მან. რადამენი—არშ. 48 კ. მუსლენი—არშ. 35 კ. გაზი, შიფრანი და სხვა დიდ-ძალი საქონელი იშოვება ჩვენს მაღაზიაში დიდის შიგ რჩევით. ყველაზე მეტად დაბალი ფასებია დადებული. (1—244—1)

სააქციონერო საზოგადოება

ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.

(დაარსებული 1860 წ.).

იზმაილოვის პროსპ., № 27.

პარიზის 1900 წ. ოქროს მედალი.

სატუალეტო ძმარი

ХИМИЧЕСКАЯ С. ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ

ამ ძმარის მრავალ-გვარმა კოსმეტიურმა თვისებებმა ტუალეტის უსაჭიროესი ალაგი დაიჭირა.

მთავარი საწყობი: ტფილისი, საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(12—1291—7)

სნეულთა

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ ულონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნერვალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც **სპერმინ-პელა** დღითი-დღე უფრო ბევრი საღდება, ამის გამო გასასყიდად ავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი **სპერმინ-პელის** მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ-წამლებისაგან. ყველა მოწონების წერილები ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ **„სპერმინ-პელას“** გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინ-პელა**, ვინაიდან ყველა სხვა წამლები უხეირო წაბაძულებაა **„სპერმინ-პელასი“.**

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, **„სპერმინ-პელა“-ს** დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადა აღწერილია ყოველივე.

Органотерапевтическій институтъ Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и С-я.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества—С. Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
Метилъ и К° № 1277.

(12.1002.5)

საყურადღებოდ

ქონებრივი მდგომარეობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 იანვარს 1012 წელს.

აქტივი (აქვს).

1. კასსა, ნაღდი ფული . . .		31488	75
2. სახელდახელო ანგარიში:			
ა) სახელმწ. ბანკში და ხაზინაში.	130,—		
ბ) ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკ.	1386,93	1516	93
3. სარგებლ. ქაღალ. . . .			
ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ.	1254,13		
ბ) საზოგადოების ანგარ. . „	— —	1254	13
4. განაღდება თამასუქებისა არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით .		46416	64
5. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და ადგ. უზრუნვ. ყოფ. შავქვ. ადგ.		20370	25
6. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ.-ყოფ. თანხა იხ. გ. პას.)		5705	70
7. სესხი გაც. გირავ. . . .			
ა) სარგ. ქაღალდები უზრუნ.-ყოფილ სარგ.	— —		
ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრუნ.-ყოფ. მთავ. მიერ . . .	00,00 —		
გ) შავ-ქვაზე	118278,96		
დ) საქონელზედ	222,60	118501	56
8. კორესპონდენტ.	— —		
ა) იმათ ანგარ.	3851,09		
ბ) საზოგ. ანგარ.	1,00	3852	99
9. გერბ. ქაღალდ. და თამ. . .		158	31
10. მოწყობა-გამართვა საზოგად. .		2590	57
11. ხარჯი დასაბრ.		4212	18
12. ზარალი 1905 წ. . . .		207	61
13. მიმდინარე ხარჯი . . .		—	—
14. მიცემული სარგებ. და კომისია.		—	—
ბალანსი.		236274	72

(ჰმართებს) პასსივი.

1. თანხა, რაიცა შესდგება 10 პროცენტ. შემ. სასწ. ფულით 217 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე . . .		18350	—
2. დასაბრ. საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ.		361	24
3. თანხა:			
ა) სათადარიგო	5475,94		
ბ) ამორტიზაც	2050,76		
გ) პროტ. წას. თამასუქების უზრუნ.-საყ., შემდეგ 1906—11 წ. პოგებიდან	5705,70	13232	40
4. შემოტ. ფული:			
ა) სახელდ. ანგ. . . .	44904,74		
ბ) ვადით	31073,52		
გ) უვადოთ	1000,00 —	76978	26
5. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ			
ა) სახელ. ბანკის განყოფ. მან.	10662,00		
ბ) სხვა და სხვა ს ზოგ ბანკები.	19785,00	30447	—
6. საგანგებო სახ. ანგარ.-უზრ.-ყოფ.			
ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. .	936,09		
ბ) შავის ქვის	42302,42	43238	51
7. სესხი მღებ. სახ. მიერ შავი ქვის ეირავნობით		37063	82
8. კორესპონდენტ.:			
ა) იმათის ანგარ. (Loro) .	181,91		
ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro) .	9494,70	9676	61
9. გადასაგზ. შემოტ. ფული . .		—	—
10. გარდამავ. თანხა		5440	18
11. სარგებელი მიუღებელი ფულის შემომტანელთა		1243	16
12. 5% პროც. სახელ. გარ. . .		205	55
13. წმინდა მოგება 1910 წლისა .		—	—
14. შემოსული სარგებელი . .		37	99
ბალანსი.		236274	72

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. ი. გ. აბაშიძე.**

ბუხჰალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

(1.1 03.1)

დირექტორები: (**თ. ვ. ჯაყელი,**
(**კ. დ. წერეთელი.**

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.